**საქართველოს მთავრობის**

**დადგენილება №494**

**2025 წლის 31 ოქტომბერი**

**ქ. თბილისი**

**„სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/12/2013, 010210040.10.003.017475) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

**1. მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს „ვ$^{1}$“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„ვ$^{1}$) შესაბამის ტერიტორიაზე ახორციელებს სახელმწიფო უწყებების მიერ მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კოორდინაციას, რაც გულისხმობს: ადგილზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების დათვალიერებას, შესწავლის მიზნით პროექტებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვასა და აღნიშნულის შესაბამისად, პროექტების ეფექტურად და დროულად განხორციელების მიზნით კოორდინაციის გაწევას, რის შესახებაც, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციას აწვდის საქართველოს მთავრობას ან/და შესაბამის უწყებებსა და სხვა უფლებამოსილ/კომპეტენტურ ორგანოებს;“.

**2. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „კ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

„კ) სახელმწიფო რწმუნებულის სამოქმედო ტერიტორიაზე სახელმწიფო უწყებების მიერ მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კოორდინაციის ხელშეწყობა, რაც მოიცავს: ადგილზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების დათვალიერებას, შესწავლის მიზნით პროექტებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვასა და აღნიშნულის შესაბამისად, პროექტების ეფექტურად და დროულად განხორციელებისა და კოორდინაციის მიზნით სათანადო ინფორმაციის/რეკომენდაციების მომზადებასა და სახელმწიფო რწმუნებულისთვის წარდგენას შემდგომი რეაგირების მიზნით.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი კობახიძე**